

ირაკლი მჭედლიშვილი, ნატალია გარუჩავა, მარიამ ასაშვილი

მაიმუნის ყვავილი - თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.04.33>

IRAKLI MCHEDLISHVILI, NATALIA GARUCHAVA, MARIAM ASASHVILI

MONKEYPOX – A CURRENT ISSUE OF MODERN MEDICINE

Tbilisi State Medical University, Department of epidemiology and biostatistics

SUMMARY

In 2022-2023, the intensive spread of monkeypox began in the world. Currently, cases of the disease are recorded in 115 countries, where the number of cases consisted of 90,439 people, of which 157 died. The disease spread especially widely on the continents of America and Europe. Cases of the disease have also been identified in Georgia, which makes the disease relevant for this country. Based on the above, it is necessary to inform the medical staff about the clinical and epidemiological characteristics of the disease, as well as about preventive measures. It is also necessary to inform the population about this actual disease.

Keywords: Monkeypox, current issue, modern medicine

ახალ ინფექციურ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება მაიმუნის ყვავილი, რომელიც პირველად 1958 წელს გამოვლინდა დაავადებულ მაიმუნებში. 1970 წელს კი ამ ინფექციის გამომწვევი გამოყვეს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქ ბასანკუსში. დაავადდა 9 წლის ბავშვი, რომელიც არ იყო აცრილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინით [2]. მისი ინტენსიური გავრცელება დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, მაშინ, როდესაც გლობალური მასშტაბით იქნა ელიმინირებული ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ინფექციური დაავადება - ნატურალური ყვავილი. თუმცა პირველ პერიოდში მაიმუნის ყვავილი მხოლოდ აფრიკის კონტინენტზე ვრცელდებოდა. 1981-1986 წლებში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაავადების 338 შემთხვევა გამოვლინდა. გარდაიცვალა 33 ადამიანი და ლეტალობის მაჩვენებელმა 9.8% შეადგინა. ამავე ქვეყანაში 1991-1997 წლებში კვლავ განვითარდა მასშტაბური აფეთქება, რომლის დროსაც 511 ადამიანი დაავადდა. ლეტალობის მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ეს პირველი აფეთქებისას აღინიშნა [7].

2003 წელს დაავადების ეპიდემიოლოგია აფრიკის კონტინენტის მიღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვლინდა. აღინიშნა დაავადების 71 შემთხვევა. საბედნიეროდ ლეტალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამ ქვეყანაში ინფექცია აფრიკიდან შემოყვანილი ეგზოტიკური მღრღნელების - გამბიური ვირთაგვების საშუალებით გავრცელდა [6]. 2018 წელს კი დაავადება პირველად ევროპის კონტინენტზე, კერძოდ კი დიდ ბრიტანეთში გამოვლინდა [4].

2022 წელს მაიმუნის ყვავილის გავრცელება დაიწყო მთელ მსოფლიოში. მან ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ ამავე წლის 23 ივლისს ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში განსაკუთრებული სიტუაცია გამოაცხადა.

2023 წლის 12 სექტემბრისათვის დაავადების 90 439 შემთხვევა გამოვლინდა. 157 გარდაიცვალა. ამასთან, დაავადება მსოფლიოს 115 ქვეყანაში დაფიქსირდა [8]. ყველაზე მეტი შემთხვევა არა აფრიკის კონტინენტზე, არამედ ამერიკის და ევროპის კონტინენტებზე გამოვლინდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში - 30 610, ბრაზილიაში - 10 967, ესპანეთში - 7 580, საფრანგეთში - 4 154, კოლუმბიაში - 4 069, მექსიკაში - 4 011, პერუში - 3 818, დიდ ბრიტანეთში - 3 782, გერმანიაში - 3 697 და კანადაში 1 496 შემთხვევა. ამ ქვეყნებზე მაიმუნის ყვავილის გამოვლენილი შემთხვევების 82.1% მოდის.

დაავადების აქტუალობას ჩვენი ქვეყნისთვის ის ფაქტიც აპირობებს, რომ 2022 წლის იანვარში საქართველოში დაავადების 2 შემთხვევა გამოვლინდა. ორივე დაავადებული ეპიდანამნებში, ინკუბაციურ პერიოდში ევროპაში ყოფნას აღნიშნავენ. თუ გავითვალისწინებთ

დღეს არსებულ მიგრაციული პროცესების მასშტაბებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაავადების შემთხვევები ქვეყანაში ისევ იქნება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არამართო სამედიცინო საზოგადოება, არამედ მოსახლეობის ფართო წრეებიც ფლობდნენ გარკვეულ ინფორმაციას ამ დაავადებაზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა მაიმუნის ყვავილის შესახებ ძირითადი ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის მონოღება.

დაავადებას ინვეს ვირუსი, რომელიც Orthopoxvirus-ის გვარს მიეკუთვნება. ვირუსების ამ ჯგუფში ასევე შედის ნატურალური ყვავილის და ძროხის ყვავილის გამომწვევები. ვირუსის 2 გენეტიკური ტიპია ცნობილი: I ტიპი - Central African (CA Clade I) და II ტიპი - West africa (WA Clade II) [1].

მაიმუნის ყვავილის ინფექციის წყაროა მაიმუნები, მღრღნელები, მაგალითად გამბიის ზაზუნისებრი ვირთაგვები, პრერიის ძაღლები, ასევე ციყვების გარკვეული სახეობები. ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანიც.

რაც შეეხება გადაცემის მექანიზმს, მაიმუნებიდან, ისევე როგორც სხვა ცხოველებისგან, ადამიანს ინფექცია გადაეცემა ცხოველის ბიოლოგიური სითხეების, უპირველეს ყოვლისა კი, სისხლის ინოკულაციით ადამიანის ორგანიზმში, მაგალითად, ცხოველის კბენისას, ხორცის დამუშავებისას და ა.შ. დაინფიცირება ასევე ხდება დაავადებული ცხოველის ხორცის საკვებად გამოყენების შემთხვევაში, თუ ის თერმულად კარგად არ არის დამუშავებული.

ადამიანებში ინფექცია ვრცელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით, თუმცა დაინფიცირებისთვის საჭიროა მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტი ინფექციის წყაროსთან. გამომწვევის გადაცემა ასევე ხდება პარენტერული მექანიზმით; დაავადებული ადამიანის სისხლის მოხვედრით ჯანმრთელ ადამიანში. ინფექცია შეიძლება ვერტიკალური მექანიზმითაც გავრცელდეს. ბოლო პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ინფექციის გადაცემა სქესობრივი კონტაქტით. აქედან გამომდინარე, რისკის სერიოზული ჯგუფებია ჰომო- და ბისექსუალები, სექს მუშაკები და სხვა [3,5]. დაავადება ვრცელდება საყოფაცხოვრებო კონტაქტითაც, კერძოდ, სხვადასხვა საგნების საშუალებით, რომელიც ავადმყოფის სისხლით არის დაბინძურებული. მაგალითად, თეთრეულით.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 7-21 დღე. უფრო ხშირად, 8-14 დღე. პროდრომულ პერიოდში გამოხატულია ტემპერატურის მომატება, თავისა და კუნთების ტკივილი, საერთო სისუსტე. დაავადების მე-3-4 დღეს ვითარდება გამონაყარი, ჯერ ლაქების სახით, შემდეგ კი პაპულა და ვეზიკულა ვითარდება. გამონაყარი თავდაპირველად სახეზე ჩნდება, შემდეგ კიდურებზე და ტანზე. შესაძლებელია კანზე და ლორწოვანზე გამონაყარის რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღემატებოდეს. ამ პერიოდში მაიმუნის ყვავილის კლინიკა ძალიან ჰგავს ნატურალური ყვავილის კლინიკას. ინფექცია დაახლოებით 2-4 კვირა მიმდინარეობს და უფრო ხშირად ავადმყოფის გამოჯანმრთელებით მთავრდება, თუმცა აღინიშნება ლეტალური გამოსავალიც [3,5,9].

ნატურალური ყვავილის საწინააღმდეგო აცრა მნიშვნელოვან წილად იცავს ადამიანს დაავადებისაგან, რაც განპირობებულია ამ ორი ინფექციის გამომწვევი ვირუსების დიდი ანტიგენური მსგავსებით. სასურველია ვაქცინაცია ჩატარდეს ინფექციის წყაროსთან კონტაქტისას პირველი ოთხი დღის განმავლობაში. ამ აცრების ჩატარება რეკომენდებულია რისკის ჯგუფებში, მათ შორის ექიმებისთვის და მთლიანად სამედიცინო პერსონალისთვის. განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც მაიმუნის ყვავილით დაავადებული ადამიანების სამედიცინო მომსახურება უწევს. აცრების ჩატარება იმ პირებშიც საჭიროა, ვინც დაავადების შემთხვევებს იკვლევენ. ავადმყოფთან სამედიცინო პერსონალი უნდა მივიდეს ინდივიდუალური დაცვის კომპლექტით ჩაცმული.

მაიმუნის ყვავილით დაავადებული ადამიანის ჰოსპიტალიზაცია ხდება კლინიკური ჩვენებით. უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფის იზოლაცია შესაძლებელია ბინაზე. სასურველია მისთვის ცალკე ოთახი იქნეს გამოყოფილი. ამასთან, დაავადებულთან კონტაქტი სხვა ადამიანებთან მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Huang Y.; Mu L.; Wang W. Monkeypox: epidemiology, pathogenesis, treatment and prevention; Signal Transduction and Targeted Therapy volume 7, Article number: 373 (2022);

2. Ladnyj I. D.; Ziegler P.; Kima E. A human infection caused by monkeypox virus in Basankusu Territory, Democratic Republic of the Congo; Bull World Health Organ; v.46(5); 1972; PMC2480792.
3. Lum F.M.; Torres-Ruesta A.; Tay M.Z. Monkeypox: disease epidemiology, host immunity and clinical interventions; Nature Reviews Immunology. 2022; 22:597-613.
4. Monkeypox case in England; Gov. UK. 2018 8 September;
5. Petersen E.; Kantele A.; Koopmans M. et al. Human Monkeypox: Epidemiologic and clinical characteristics; Prognosis and prevention. Infect. Dis. Clin. North Amer., 2019 Dec; 33(4):1027-1043.
6. Reed K.D.; Melski J.W.; Graham M.R. et al. The detection of monkeypox in human in the Western Hemisphere. N. Eng. J. Med; 2004; 350:342-350.
7. Sklenovska N.; Rants M. Emergence of Monkeypox as the most important orthopoxvirus infection in humans; Front. Public Health, 04 September 2018; Sec. Infectious Diseases – Surveillance, Prevention and Treatment; Volume 6 - 2018 <https://doi.org/10.3389/fpubh.2018.00241>;
8. WHO. 2022-2023 Monkeypox outbreak: Global Trends. 12.09.2023;
9. Всемирная Организация Здравоохранения. 18 Апреля, 2023. Оспа Обезьян.

ირაკლი მჭედლიშვილი, ნატალია გარუჩავა, მარიამ ასაშვილი
მაიმუნის ყვავილი - თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხი
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის
 დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

2022-2023 წლებში მსოფლიოში დაიწყო მაიმუნის ყვავილის ინტენსიური გავრცელება. ამჟამად დაავადების შემთხვევები დაფიქსირებულია 115 ქვეყანაში, სადაც 90 439 ადამიანი დაავადდა, რომელთაგან 157 გარდაიცვალა. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დაავადება ამერიკის და ევროპის კონტინენტებზე. დაავადების შემთხვევები გამოვლინდა საქართველოშიც, რაც დაავადებას აქტუალურს ხდის ამ ქვეყნისთვისაც. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სამედიცინო პერსონალის ინფორმირება დაავადების კლინიკური და ეპიდემიოლოგიური თავისებურებების, ისევე როგორც პრევენციის თაობაზე. ასევე საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება ამ აქტუალური დაავადების შესახებ.

ИРАКЛИЙ МЧЕДЛИШВИЛИ, НАТАЛИЯ ГАРУЧАВА, МАРИАМ АСАШВИЛИ
ОСПА ОБЕЗЬЯН – АКТУАЛЬНАЯ ПРОБЛЕМА СОВРЕМЕННОЙ МЕДИЦИНЫ
 Тбилисский Государственный Медицинский Университет, Кафедра Эпидемиологии и
 Биостатистики, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

В 2022-2023 годах в мире началось интенсивное распространение оспы обезьян. В настоящее время случаи заболевания зафиксированы в 115 странах, где число заболевших составило 90 439 человек, из них 157 умерли. Особенно широко эта инфекция распространилась на континентах Америки и Европы. Случаи заболевания выявлены и в Грузии, что делает заболевание актуальным и для этой страны. На основании вышеизложенного необходимо информировать медицинский персонал о клинико-эпидемиологической характеристике заболевания, а также о мерах профилактики. Также необходимо информировать и население об этом актуальном заболевании.

